საკანონმდებლო ცვლილებები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით

კანონმდებლობის და პრაქტიკის სამართლებრივი ანალიზი

2022

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: სალომე წიკლაური

რედაქტირება: ალეკო ცქიტიშვილი, ნინო ტლაშაძე

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

1. ზოგადი მიმოხილვა 4
2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებები 5
3. საქართველოს პრეზიდენტის ვეტო 6
4. ვენეციის კომისიის დასკვნა 7
5. არის თუ არა პირადი ცხოვრების უფლების ამგვარი შეზღუდვა მართლზომიერი? 9
6. ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმები 12
7. დასკვნა 15

1. ზოგადი მიმოხილვა

2022 წლის 13 აპრილს საქართველოს პარლამენტს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ ინიციატივა წარედგინა, რომელიც ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ინსტიტუტების და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგობის მიუხედავად, პარლამენტმა 2022 წლის 6 სექტემბერს დაამტკიცა. ცვლილებები ეხება ფარული საგამოძიებო მოქმედებების არეალსა და ხანგრძლივობას, ასევე - ცვლის ადრესატისთვის მასზე განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ შეტყობინების ვადებს. გარკვეულ დანაშაულებთან მიმართებით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისა და შეტყობინების ვადის გაგრძელება შესაძლებელი გახდა იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს აუცილებელი იქნება სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის, საზოგადოებრივი წესრიგისთვის და საგამოძიებო ორგანოს ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის.

ცვლილებებს არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. საკითხი სენსიტიურია იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც საქართველოს უკვე ორი ხელისუფლების პერიოდში დაუგროვდა. კერძოდ, ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ“ არა მარტო დაგმო წინა ხელისუფლების პერიოდში განხორციელებული უკანონო ფარული მიყურადებები, არამედ მმართველობის დასაწყისში შექმნა სპეციალური კომისიაც[1] და საჯაროდ გაანადგურა გარკვეული ჩანაწერები. მიუხედავად ამისა, საზოგადოების უკანონო მიყურადება არ დასრულებულა, რაც არაერთხელ გამხდარა არასამთავრობო სექტორის პროტესტის საგანი. არასამთავრობო ორგანიზაციები უკანონო მოსმენებს გმობდნენ კამპანიით „ეს შენ გეხება - ისევ გვისმენენ“[2]. მიუხედავად საზოგადოებაში არსებული ეჭვებისა, მმართველი პარტია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებს საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნევდა, ხოლო ოპოზიცია მიუთითებდა, რომ არ არსებობს საფუძველი, რითაც ფარული საგამოძიებო მოქმედებების ამგვარი გაფართოება შეიძლება, გამართლდეს[3]. ცვლილებებს განხილვის პროცესშივე ნეგატიურად აფასებდა არასამთავრობო სექტორიც, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს ვეტოს უფლების გამოყენებისკენ მოუწოდებდა[4].

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა კანონპროექტს ვეტო დაადო და პარლამენტს მოტივირებული შენიშვნები წარუდგინა. პრეზიდენტმა უარყოფითად შეაფასა როგორც კანონპროექტის შინაარსი, ასევე, მისი განხილვის პროცესი[5]. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, კანონპროექტის შეფასებისთვის ვენეციის კომისიასაც მიმართა. კომისიის გადაუდებელი მოსაზრებით კი, ცვლილებები მომზადდა ნაჩქარევად და საჭიროებს დამატებით დასაბუთებას აუცილებლობისა და პროპორციულობის ნაწილში[6].

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული ცვლილებები უარყოფითად შეფასდა როგორც ადგილობრივ,

---

[1] სპეციალურ კომისიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობდა. მას იმ პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა.

[2] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის 2014 წლის ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიში, 2015, გვ. 9-10.

[3] იხ. ინტერპრესნიუსის სტატია: შალვა შავგულიძე - საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედებები შეიძლება უსასრულოდ გახანგრძლივდეს (28.04.2022)

[4] იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება (09.06.2022)

[5] საქართველოს პრეზიდენტის წარდგინება - მოტივირებული შენიშვნები (23.06.2022), გვ. 2.

[6] European Commission for Democracy Through Law (Venice Commission) – Urgent Opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code Adopted by the Parliament of Georgia on June 7 2022, CDL-PI(2022)028, Opinion no. 1092/2022 (2022) para. 64.

ასევე, საერთაშორისო დონეზე, 2022 წლის 6 სექტემბერს პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია[7].

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI[1] თავი, რომელიც 2014 წლიდან მოქმედებს, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს. 2014 წლის ცვლილებებზე მუშაობის პერიოდში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ევროპის საბჭოს მოსაზრებისთვისაც მიმართა[8].

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და სხვა საშუალებებით გამოძიებისთვის არსებითი მნიშვნელობის მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს[9]. დღევანდელი რედაქციით, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული ცვლილებები სამ ძირითადად ნაწილად იყოფა, კერძოდ:

1. *გაიზარდა იმ დანაშაულთა რაოდენობა, რაზეც ფარული საგამოძიებო მოქმედებები შესაძლოა, განხორციელდეს;*

მოქმედი რედაქციით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების არეალი გავრცელდება სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ ოცზე მეტ მუხლზე. ცვლილებებით დაემატა ისეთი დანაშაულები, როგორიცაა: ნარკოტიკული დანაშაული, დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ, დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ, დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ, ასევე - „ქურდულ სამყაროსთან“ და ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულები და ა.შ.

2. *გაიზარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების ვადები;*

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად მოსამართლის განჩინება გაიცემოდა იმ ვადით, რაც საჭირო იყო გამოძიების მიზნის მისაღწევად, მაგრამ არაუმეტეს 1 თვისა. ძველი რედაქციით, თუ ეს ვადა საკმარისი არ აღმოჩნდებოდა, დასაშვები იყო მისი გაგრძელება პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე არაუმეტეს 2 თვით, რაც კიდევ შეიძლება, გაგრძელებულიყო დამატებით სამი თვით საქართველოს გენერალური პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. მოქმედი რედაქციით კი, ზემოთ ჩამოთვლილი სამი ეტაპი შეიცვალა შემდეგნაირად: პირველ ეტაპზე, განჩინება გაიცემა არაუმეტეს 90 დღით, რომელიც შეიძლება ზემდგომი პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე გაიზარდოს არაუმეტეს 90 დღით, და ბოლოს, საქართველოს გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე - კვლავ არაუმეტეს 90 დღით. ამასთან, ფარული საგამოძიებო მოქმედებები შესაძლოა, გაგრძელდეს იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს იქნება აუცილებელი, თუ გამოძიება ეხება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 143-ე-143[2], 144-144[3], 223-ე-224[1], 230-ე-232-ე, 234-ე-235[1] და 255[1] მუხლებით, 260-ე მუხლის მე-4-მე-7 ნაწილებით, 261-ე

[7] საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, N1722-IXმს-Xმპ (06.09.2022)

[8] Opinion of the Directorate General Human Rights and Rule of Law Data Protection Unit on the Draft laws of Georgia relating to Surveillance Activities of Law Enforcement Authorities and National Security Agencies, DGI(2014)8 (2014)

[9] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 143[2].

მუხლის მე-4-მე-8 ნაწილებით, 262-ე და 263-ე მუხლებითა და XXXVII–XXXVIII და XLVII თავებით გათვალისწინებულ დანაშაულებს[10].

3. შეიცვალა შეტყობინების ვადა იმ პირისთვის, რომლის მიმართაც ხორციელდება ფარული საგამოძიებო მოქმედებები.

სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 143-ე-143[2], 144-144[3], 223-ე-224[1], 230-ე-232-ე, 234-ე-235[1] და 255[1] მუხლებით, 260-ე მუხლის მე-4-მე-7 ნაწილებით, 261-ე მუხლის მე-4-მე-8 ნაწილებით, 262-ე და 263-ე მუხლებითა და XXXVII–XXXVIII და XLVII თავებით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საშუალებას იძლევა, რომ პირს არ შეატყობინონ ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ იმდენი ხნით, რამდენი ხანიც აუცილებელი იქნება „სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის, საზოგადოებრივი წესრიგისთვის და საგამოძიებო ორგანოს ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის[11]“.

3. საქართველოს პრეზიდენტის ვეტო

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის მიერ მიღებული კანონი 10 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 2 კვირის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს[12]. საქართველოს მეხუთე პრეზიდენტმა ვეტოს უფლება პირველად გამოიყენა და საკანონმდებლო ორგანოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ ცვლილებებზე მოტივირებული შენიშვნები წარუდგინა. ზოგადად პრეზიდენტის ვეტო შესაძლოა, გამოწვეული იყოს კანონის კონსტიტუციასთან შეუსაბამობით ან პოლიტიკური მიზეზით[13]. სალომე ზურაბიშვილის განცხადებით კი, *„ეს არის პოლიტიკური ვეტო, ვიდრე სამართლებრივი. არ შეიძლება, ამ დღეებში საქართველოში მიღებული იყოს ისეთი კანონი, რომელიც ავიწროებს ადამიანის უფლებებს, როცა პირიქით გვთხოვენ, რომ ვიყოთ უფრო დემოკრატიულები, ევროპელები*“[14].

პოლიტიკური მოტივით დადებული ვეტო გულისხმობს, რომ „არ დგას კანონის ან მის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციასთან შეუსაბამისობის საკითხი, მაგრამ პრეზიდენტი კანონს პარლამენტში განსახილველად აბრუნებს, რადგან მას „ცუდი“ საჯარო პოლიტიკის შემცველად მიიჩნევს“[15]. ის, რომ პრეზიდენტი სწორედ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად მოქმედებდა, დასტურდება მისი სხვა განცხადებითაც: *„ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც სადმე რომ შევდივართ და საუბარი გვინდა, ვფიქრობთ, ტელეფონი გავიტანოთ თუ დავიტოვოთ? მერე ვძლევთ ამას და ვამბობთ, რომ ჯანდაბას, იყოს ეს ტელეფონი და*

---

[10] *იქვე*, მუხლი 143[3] (12[7] (ბ))
[11] *იქვე,* მუხლი 143[9] (6)
[12] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 46 (1) (2)
[13] თამარ პაპაშვილი, *პრეზიდენტის ვეტოს უფლება: განზომილება და კონტექსტი*, სახელმწიფო მმართველობის მოდელები: საქართველოს საკონსტიტუციო სინამდვილე და პერსპექტივა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი (2016) გვ. 24.
[14] იხ. რადიო თავისუფლების სტატია - სალომე ზურაბიშვილი პირველად იყენებს ვეტოს და ეწინააღმდეგება „მოსმენების კანონის“ (22.06.2022)
[15] თამარ პაპაშვილი, *პრეზიდენტის ვეტოს უფლება: განზომილება და კონტექსტი*, სახელმწიფო მმართველობის მოდელები: საქართველოს საკონსტიტუციო სინამდვილე და პერსპექტივა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი (2016) გვ. 24.

მოუსმინონ. ეს არ არის ევროპული ცხოვრება, არ არის ადამიანის უფლებების დაცვა, ეს არის სხვა სისტემა და ჩვენ ამ სისტემიდან უნდა გამოვიდეთ. სწორედ ამის თქმა მინდოდა ამ ვეტოთი"[16].

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა თავის ვეტოს პოლიტიკური უწოდა, მითითებული ცვლილებები კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო პრინციპებსაც ეწინააღმდეგება. სალომე ზურაბიშვილის ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი მოტივირებული შენიშვნები ორ ძირითად ნაწილად იყოფა და ეს ეხება, როგორც ცვლილების შინაარსს, ასევე, კანონპროექტის მიღების ფორმას. პრეზიდენტის მოსაზრებით, ირღვევა გონივრული ბალანსი სახელმწიფო ინტერესსა და საქართველოს კონსტიტუციის გათვალისწინებულ უფლებებს შორის[17]. ამასთანავე, პრეზიდენტი ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ პროცესები არ მიმდინარეობდა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით[18]. პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების მიხედვით, მაშინ, როდესაც საქართველო ელოდება ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილებას, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ევროინტეგრაციის პროცესში უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს[19].

პრეზიდენტის მსგავსი შეფასებები და მსჯელობა ცხადყოფს, რომ მისი ვეტო მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის არ ყოფილა. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ „პოლიტიკური ვეტოს" არგუმენტი პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების სისუსტის წარმოსაჩენად გამოიყენებოდა[20], უმჯობესი იქნებოდა, თუკი თავიდანვე პრეზიდენტი ვეტოს „პოლიტიკურს" არ დაარქმევდა, მითუმეტეს - იმ ფონზე, როცა ცვლილებები, რეალურად, არ შეესაბამება თანაზომიერების პრინციპს და ქვეყანაში არსებული დაცვის მექანიზმები ეფექტიანი არ არის, რაც არაერთხელ დადასტურდა საქართველოში მიმდინარე პროცესების ფონზე.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის თხოვნის შესაბამისად, ცვლილებებთან დაკავშირებით გადაუდებელი მოსაზრება გამოაქვეყნა ვენეციის კომისიამაც, სადაც, ასევე, იკვეთება განხილული ცვლილებების სამართლებრივი ხარვეზები.

4. ვენეციის კომისიის დასკვნა

ფარული საგამოძიებო მოქმედებების აუცილებლობა და საჭიროება ეჭვქვეშ არ დგას, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მსგავსი ტიპის საგამოძიებო მოქმედებებით ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ირღვევა. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. თუმცა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას არ მიეკუთვნება[21] და მისი შეზღუდვის საფუძვლები კონსტიტუციაშივეა მოცემული[22]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება შეიძლება, შეიზღუდოს დემოკრატიულ სახელმწიფოში აუცილებელი, კონსტიტუციით გათვალისწინებული

[16] იხ. ტაბულას სტატია - პრეზიდენტი: ისეთ ქვეყანაში ვართ, საუბარი რომ გვინდა, ვფიქრობთ, ტელეფონი ხომ არ დავტოვოთ (02.09.2022)
[17] საქართველოს პრეზიდენტის წარდგინება - მოტივირებული შენიშვნები (23.06.2022), გვ. 5.
[18] *იქვე*, გვ. 2.
[19] *იქვე*, გვ. 3.
[20] იხ. რადიო თავისულების სტატია - პრეზიდენტის ვეტო დაძლეულია - პარლამენტმა ე.წ. მოსმენების კანონი საბოლოოდ დაამტკიცა (06.09.2022)
[21] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის კვლევა - ლაზარე ჯიბლაძე, *სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასშტაბური უკანონო ფარული მოსმენისა და თვალთვალის ფაქტების სამართლებრივი შეფასება* (2021)
[22] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 15(1)

ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, ამასთან - იმ პირობის სავალდებულო დაცვით, რომ უფლებაში ჩარევა ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი და პროპორციული გზით მოხდება[23]." მითითებული ცვლილების განმარტებით ბარათშიც ვკითხულობთ, რომ „დღესდღეისობით მსოფლიოში მიმდინარე მოვლებიდან გამომდინარე, მრავალ ქვეყანაში, მათ შორის - საქართველოში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის საკითხები ახალი გამოწვევის წინაშე დადგა".[24] კანონის ავტორები აკონკრეტებენ, რომ განსაკუთრებით საყურადღებო საკითხებს ჰიბრიდული ომი და კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს. აღნიშნული მიზნები თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციასთანაც, რომლის მიხედვითაც, დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების დაცვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის საფუძველია[25]. უფრო მეტიც, სწორედ სახელმწიფოს ვალდებულებაა მსგავსი საერთაშორისო დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა[26]. თუმცა, სახელმწიფო უსაფრთხოების საჯარო და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების კერძო ინტერესები სამართლიანად უნდა, დაბალანსდეს[27].

ვენეციის კომისიამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან დაკავშირებულ ცვლილებებზე გადაუდებელი მოსაზრება 2022 წლის 26 აგვისტოს გამოაქვეყნა. კომისია დეტალურად ეხმიანება კანონპროექტის თითოეულ ნაწილს განმარტებითი ბარათის შინაარსის შესაბამისად. გადაუდებელი მოსაზრებით, ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ კანონპროექტის განმარტებით ბარათში საფრთხეებზე (ტერორიზმთან ბრძოლა, ჰიბრიდული პრობლემები[28]) მითითება ზოგადია და ცვლილებების კონკრეტულ საჭიროებას არ ხსნის[29]. მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმის საფრთხე რეალურია, ვენეციის კომისიისთვის ბუნდოვანია, რატომ ემატება ჩამონათვალს ისეთი ფართო განმარტების მქონე მუხლები, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა (მუხლი 124); რასობრივი დისკრიმინაცია (მუხლი 142[1]-ის პირველი და მეორე ნაწილები), და რომლებიც შეიძლება, ძალიან ბევრი ტიპის გარემოებებთან იქნეს მისადაგებული[30].

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, გადაუდებელ მოსაზრებაში ვკითხულობთ, რომ შესაძლოა, იმდენჯერ გაგრძელდეს მოქმედებები, რამდენჯერაც ეს საჭირო იქნება, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულის ნიშნები[31]. რაც შეეხება სუბიექტისთვის შეტყობინების ვალდებულებას, კომისია აღნიშნავს, რომ საჭიროა, არსებობდეს დამოუკიდებელი ორგანო, სადაც გასაჩივრება იქნება შესაძლებელი და ეფექტიანი[32]. ვენეციის კომისია ცალკე თავით აფასებს რა საქართველოში

---

[23] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება (2016) II. პარა. 29.

[24] [განმარტებითი ბარათი](#) - საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ."

[25] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950) მუხლი 8.

[26] ჯაბა უსენაშვილი, *პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეალიზაციის პრობლემა სასამართლოს კონტროლს დაქვემდებარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოებისას*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ჟურნალი N2 (2012) გვ. 86-87.

[27] საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება (2011) II. პარა. 48.

[28] [განმარტებითი ბარათი](#) - საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ," გვ. 1.

[29] European Commission for Democracy Through Law (Venice Commission) – Urgent Opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code Adopted by the Parliament of Georgia on June 7 2022, CDL-PI(2022)028, Opinion no. 1092/2022 (2022) para. 34.

[30] *იქვე,* para. 45.

[31] *იქვე*, para. 50.

[32] *იქვე*, para. 53.

არსებულ დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს (მათ შორის - სასამართლო კონტროლის ეფექტიანობასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერების სავარაუდო გავრცელების ფაქტებს), საკანონმდებლო ცვლილებებს გამართლებულად არ მიიჩნევს[33]. კანონპროექტის მომზადების პროცესთან დაკავშირებით, კომისიამ მიუთითა, რომ პროცესი არ იყო ინკლუზიური, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი ორი მაკონტროლებელი ორგანო - სახალხო დამცველის აპარატი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური - პროცესში ჩართული არ ყოფილა[34].

აღსანიშნავია ისიც, რომ მითითებულ ცვლილებებს გამოეხმაურა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტიც, რომლის შემაჯამებელ დასკვნაში ვკითხულობთ, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დასაცავად საქართველოში არ არსებობს დაცვის ეფექტიანი გარანტიები და კომიტეტი წუხს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან მიმართებით განხორციელებულ ცვლილებებზე[35].

5. არის თუ არა პირადი ცხოვრების უფლების ამგვარი შეზღუდვა მართლზომიერი?

როგორც აღინიშნა, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული ცვლილებები ძირითად სამ ნაწილად იყოფა. შესაბამისად, ცვლილებების შინაარსთან დაკავშირებული პრობლემური საკითხებიც შეგვიძლია, სამ ნაწილად გავყოთ:

1. გაიზარდა იმ დანაშაულთა რაოდენობა, რომლებზეც ფარული საგამოძიებო მოქმედებები შესაძლოა, განხორციელდეს;

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დეტალურად ადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წესს, ჩნდება კითხვის ნიშნები, გარკვეული მუხლების ჩამონათვალში დამატებასთან დაკავშირებით. ამ საკითხზე ისაუბრა ვენეციის კომისიამაც. მაგალითისთვის, შეგვიძლია, გამოვყოთ, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების გავრცელება შესაძლებელი იქნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლთან მიმართებითაც, რაც გულისხმობს ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან მასში აქტიური მონაწილეობა. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით გარკვეული გამოწვევები არსებობს. მათ შორისაა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლის მიზეზით შეკრების მონაწილეთა დაკავების მავნე პრაქტიკა, რაც ხშირ შემთხვევაში არამართლზომიერია[36]. სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული კი ერთ-ერთ საფუძვლად სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლის (პოლიციის, პროკურატურის თანამშრომლის და ა.შ.) კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობაში გამოიხატება[37]. აშკარა დაუმორჩილებლობა

[33] *იქვე*, paras. 55-62.
[34] *იქვე*, para. 39.
[35] United Nations, Human Rights Committee, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, CCPR/C/GEO/CO/5 (13 September 2022) para. 39.
[36] ადამიანის უფლებათა ცენტრის 2021 წლის ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიში (2022) გვ. 21.
[37] მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი, *სისხლის სამართლის კერძო ნაწილი* (წიგნი I) მეოთხე გამოცემა, „მერიდიანი“ (2011) გვ. 545.

შესაძლოა, გამოიხატოს ორგანიზატორ(ებ)ის მხრიდან მონაწილეების მოწოდებაში, არ შეასრულონ ეს ბრძანება ან/და არ დატოვონ დაკავებული ადგილი[38].

ყოველივე აქედან გამომდინარე, სრულად სავარაუდო და შესაძლებელია, რომ აღნიშნული მუხლით გამოძიების დაწყების ფარგლებში, ფარული საგამოძიებო მოქმედებები გავრცელდეს სამოქალაქო სექტორის ან ოპოზიციის წარმომადგენლებისა და მათი მხარდაჭერების მიმართ, რომლებიც აორგანიზებენ აქციებს. უფრო მეტიც, ამ საფუძვლით შესაძლოა, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სუბიექტი ნებისმიერი პირი გახდეს, შესაბამისად, ნორმის ზოგადი და ფართო ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია, არაპროპორციულად შეიზღუდოს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

2. გაიზარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების ვადები;

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედებები ტარდება მოსამართლის განჩინებით[39]. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით, 2021 წელს საერთო სასამართლოების მიერ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით 3849 საკითხი იქნა განხილული, საიდანაც დაკმაყოფილდა 3497 შუამდგომლობა[40]. აქვე, აღსანიშნავია, რომ 2021 წელს სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან დაკავშირებით 1207-დან 1055 შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, 29 - ნაწილობრივ, ხოლო 123 - არ დაკმაყოფილდა[41]. მოქმედებები უმეტესწილად განხორციელდა სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგ მუხლებზე: „ქურდული სამყაროს“ წევრობა, „კანონიერი ქურდობა“ (მუხლი 223[1]) – 154 დაკმაყოფილებული შუამდგლომლობა; თაღლითობა (მუხლი 180) – 132 დაკმაყოფილებული შუამდგომლობა; ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 117) – 86 დაკმაყოფილებული შუამდგომლობა. მითითებული სტატისტიკის მიხედვით, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ძირითად შემთხვევაში შუამდგომლობა კმაყოფილდება. მიუხედავად იმისა, დაიწყება ან გაგრძელდება, თუ არა ფარული საგამოძიებო მოქმედებები მოსამართლის გადასაწყვეტია, გასათვალისწინებელია, რომ საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობა რთულად დასამტკიცებელი არ არის.

3. შეიცვალა შეტყობინების ვადა იმ პირისთვის, რომლის მიმართაც ხორციელდება ფარული საგამოძიებო მოქმედებები.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ადრესატისთვის შეტყობინება ძალიან მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც პირისთვის ცნობილი ხდება მასზე განხორციელებული მოქმედებები, პირს შეუძლია, გაასაჩივროს და შესაბამისად, გადაამოწმოს მასზე განხორციელებული ფარული მოქმედებების კანონიერება. რაც შეეხება, უშუალოდ პირისთვის შეტყობინების ვადებს, კანონპროექტის ავტორები სკეპტიკურად აფასებენ წინარე რედაქციით გათვალისწინებულ ვადას (ინფორმაცია მიწოდებული უნდა ყოფილიყო 24 თვის ვადაში იმ პირისთვის, რომლის მიმართაც ხორციელდებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედებები), და ამბობენ, რომ „ასეთ მცირე“ დროში შეტყობინებამ შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას საგამოძიებო

---

[38] *იქვე,* გვ. 546.

[39] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 143[3] (1)

[40] საქართველოს უზენაესი სასამართლო, ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრის 2021 წლის მონაცემები საქართველოს საქალაქო/რაიონული სასამართლოების მიხედვით (2021)

[41] საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო ღია მმართველობა საქართველოს (OGP) სამოქმედო გეგმის ვალდებულების შესაბამისად აქვეყნებს ინფორმაციას სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე განხილული შუამდგომლობების რაოდენობის შესახებ სასამართლოებისა და დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით (2021)

ორგანოს ფუნქციონირების ეფექტიანობას და არსებითად დააზიანოს სახელმწიფო უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი[42]. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იზიარებს იმ პოზიციას, რომ სუბიექტს შეიძლება, გარკვეული დროის განმავლობაში ვერ შეატყობინონ, რადგან ამით შეიძლება მართლა შეეშალოს ხელი გამოძიების ეფექტიანობას[43]. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში უნდა არსებობდეს შესაბამისი მექანიზმები, რათა არ დაირღვეს სამართლიანი ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის. ტერორიზმთან მიმართებითაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს აქვთ გარკვეული დისკრეცია, თავად გადაწყვიტონ, რა იქნება საუკეთესო ნაბიჯები ამ საკითხის მოსაგვარებლად, ეს დისკრეცია ულიმიტო არ არის და არ მოიაზრებს ნებისმიერი ქმედების განხორციელებას[44]. შესაბამისად, სასიცოცხლოდ აუცილებელია საკმარისი და ეფექტიანი გარანტიების არსებობა, რაც ადამიანებს ანონიმურობის მყარ შეგრძნებას უზრუნველყოფს[45]. აქედან გამომდინარე, არგუმენტი, რომ ევროსასამართლო შეტყობინების ვალდებულებას აუცილებლობად არ მიიჩნევს, არ შეიძლება განიმარტოს ფართოდ. ამის საპირწონედ ქვეყანაში უნდა არსებობდეს სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც დაიცავს პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხილვისას, აღინიშნა, რომ კონტროლის ფუნქციას ეფექტიანად განახორციელებს ეროვნული სასამართლო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური. სიმართლეა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებები სასამართლოს განჩინების საფუძველზე შეიძლება, განხორციელდეს, ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ერთ-ერთი ძირითად მიმართულებას სწორედ ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლია[46]. სამწუხაროდ, საქართველოს საერთო სასამართლოებში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე[47], რთულია, ვისაუბროთ ეფექტიან კონტროლის მექანიზმზე. გარდა სასამართლო კონტროლისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს ზედამხედველობას უწევს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური[48], რომელსაც ნებისმიერი მონაცემთა დამმუშავებლის ან/და უფლებამოსილი პირის შემოწმება შეუძლია, როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე[49]. მიუხედავად ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ზედამხედველობის სფერო არ მოიცავს ისეთ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებას სახელმწიფო უსაფრთხოების, თავდაცვის, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მიზნებისთვის[50]. აღსანიშნავია ისიც, რომ ვენეციის კომისიამ კანონპროექტის განხილვის პროცესის ერთ-ერთ ხარვეზად სწორედ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა და სახალხო

---

[42] განმარტებითი ბარათი - საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ," გვ. 3.

[43] Roman Zakharov v. Russia, no. 47143/06 (ECtHR, 4 December 2015) para. 287.

[44] Klass and Others v. Germany, no. 5029/71 (ECtHR, 6 September 1978) para. 49.

[45] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება (2016) II. პარა. 27.

[46] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №01 პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ (2022) მუხლი 3 (ბ)

[47] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის 2021 წლის ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიში (2022) გვ. 12-14.

[48] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 143^{4} (2)

[49] საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, მუხლი 40^{13} (1)

[50] European Commission for Democracy Through Law (Venice Commission) – Urgent Opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code Adopted by the Parliament of Georgia on June 7 2022, CDL-PI(2022)028, Opinion no. 1092/2022 (2022) para. 27

დამცველის ჩართულობის არაარსებობაზე გაამახვილა[51]. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა ნამდვილად განსაზღვრავს დაცვის გარკვეულ მექანიზმებს, მაგრამ რამდენად ეფექტიანია ეს მექანიზმები პრაქტიკაში, მიმდინარე მოვლენების ფონზე უნდა შეფასდეს.

6. ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმები

2021 წლის 13 სექტემბერს საქართველოში, სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან საიდუმლო ფაილები გავრცელდა[52]. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გასაჯაროებული მასალები ეხებოდა როგორც სასულიერო პირებს, ასევე, სამოქალაქო საზოგადოებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს, ადვოკატებსა და ა.შ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მალევე განაცხადა, რომ აქტიურად ითანამშრომლებდა პროკურატურასთან, რათა ყველა პასუხს გასცემოდა პასუხი. პროკურატურამ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი, მეორე და მეოთხე ნაწილებით დაიწყო, რაც კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერას ან მიყურადებას, ასევე, კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ გამოყენებას გულისხმობს[53]. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურორს დაწყებული გამოძიების მასალების საგამონაკლისო წესით გაცნობის მიზნით მიმართა, რაზეც უარი მიიღო[54].

აღსანიშნავია, რომ მითითებული მასალების გავრცელების ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი სამართლებრივ დახმარებას უწევს ჟურნალისტებს - ანა ჭეიშვილსა და ხვიჩა ვაშაყმაძეს, ასევე, ადვოკატებს - გიორგი ფანცულაიას, მია ზოიძესა და მიხეილ რამიშვილს. ადვოკატები გიორგი ფანცულაია, მია ზოიძე და მიხეილ რამიშვილი დაკავშირებულნი არიან ისეთ გახმაურებულ საქმეებთან, როგორიცაა ე.წ. ციანიდის საქმე, თამარ ბაჩალიაშვილის საქმე, ა.შ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებს დიდი შრომა დასჭირდათ, რათა მითითებულ პირებს აღნიშნულ საქმეზე დაზარალებულის სტატუსი მინიჭებოდათ. უფრო კონკრეტულად, მას მერე, რაც გავრცელდა ინფორმაცია სავარაუდოდ უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით, ცენტრის იურისტებმა არაერთხელ მოითხოვეს მათი დაცვის ქვეშ მყოფთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, რაც ყველაზე გვიან მიხეილ რამიშვილის შემთხვევაში - 2022 წლის ოქტომბერს დადგა. რაც შეეხება გიორგი ფანცულაიასა და მია ზოიძეს, ისინი დაზარალებულად ცნეს 2022 წლის 8 ივლისს კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერის ან მიყურედების, ასევე, კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ გამოყენების საქმეზე.

სამწუხაროა, ის ფაქტიც, რომ 2022 წლის 8 ივლისის შემდეგ, ანუ მას მერე, რაც მია ზოიძე და გიორგი ფანცულაია დაზარალებულად არიან ცნობილნი, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებმა საქმის მასალების გაცნობა წერილობით რამდენჯერმე მოითხოვეს, მათ შორის - 2022

---

[51] *იქვე*, para. 39.

[52] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის კვლევა - ლაზარე ჯიბლაძე, *სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასშტაბური უკანონო ფარული მოსმენისა და თვალთვალის ფაქტების სამართლებრივი შეფასება* (2021)

[53] საქართველოს პროკურატურის განცხადება (18.09.2022)

[54] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2021) გვ.123.

წლის 18 ივლისს და 2022 წლის 12 სექტემბერს, მაგრამ პროკურატურა განცხადებებს უპასუხოდ ტოვებდა. უფრო მეტიც, ქ. თბილისის პროკურატურამ მიიღო დადგენილება, საქმის მასალების გასაიდუმლოებისა და მხარისთვის გადმოცემაზე უარის თქმის შესახებ, რაც მხარეს მხოლოდ ადგილზე გაცნობის შესაძლებლობას უტოვებს. მითითებული დადგენილება ცენტრის იურისტებს 2022 წლის 18 ოქტომბერს ჩაბარდათ. საინტერესოა, რატომ მიიღეს ცენტრის იურისტებმა 2022 წლის 15 სექტემბრით დათარიღებული დადგენილება 2022 წლის 18 ოქტომებრს. ამასთანავე, სადავოა უშუალოდ ქ. თბილისის პროკურატურის დადგენილება საქმის მასალების მხოლოდ ადგილზე გაცნობასთან დაკავშირებითაც. როგორც აღინიშნა, მითითებული პირები ცნობილი იქნენ დაზარალებულად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თ) ქვეპუნქტის მიხედვით, დაზარალებულს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ ინფორმაციის მიღება არ გულისხმობს მხოლოდ ადგილზე გაცნობას, ვინაიდან წერილობითი ინფორმაციის წაკითხვა, მით უმეტეს, სხვისი თანდასწრებით, დოკუმენტების ზეპირი გაცნობა თუ ვიზუალური დათვალიერება, ამასთანავე, თუნდაც ამონაწერების გაკეთების შესაძლებლობა, ვერ უზრუნველყოფს უფლებით სრულყოფილად სარგებლობას[55].

ქ. თბილისის პროკურატურის დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ საქმის მასალების მხოლოდ ადგილზე გაცნობის შესაძლებლობა განპირობებულია მესამე პირების პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით. უდავოა, რომ მესამე პირების პერსონალური მონაცემები უნდა იყოს დაცული და ეს მიდგომა თანხვედრაშია საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთანაც[56]. თუმცა, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თ) ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ბლანკეტურად გამორიცხავს დაზარალებულის შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს ასლის სახით. მხოლოდ მითითება მესამე პირების პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით წარმოადგენს ბლანკეტურ შეზღუდვას, რადგან პროკურატურას აქვს შესაძლებლობა, სავარაუდოდ უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით ცალკე გამოყოს ადამიანის უფლებათა ცენტრის დაცვის ქვეშ მყოფთა საქმეები და მესამე პირების პერსონალური მონაცემების დაცვით გადასცეს ადვოკატებს საქმის მასალები. მსგავსი ბლანკეტური მიდგომა საგამოძიებო პროცესს ხდის არაგამჭვირვალეს და აჩენს კიდევ უფრო მეტ კითხვას გამოძიების ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

ქალაქ თბილისის პროკურატურაში ადვოკატების, გიორგი ფანცულაიასა და მია ზოიძის გამოკითხვისას გამოიკვეთა, რომ მათთან დაკავშირებული ჩანაწერები ეხება არა მხოლოდ მათ პირად ცხოვრებას, არამედ უხეშად იჭრება მათი, როგორც ადვოკატების საქმიანობაში, რაც მხოლოდ კერძო კომუნიკაციას არ მოიცავს. ამ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებმა განცხადებით მიმართეს ქ. თბილისის პროკურატურას, რათა სამივე ადვოკატის საქმეზე მიმდინარე გამოძიებას დაემატოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლი, ანუ სპეციალური მუხლი, რომელიც გულისხმობს სამართალწარმოების განხორციელებისთვის, გამოძიებისთვის ან დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლას, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით კვალიფიკაცია არ შეცვლილა.

[55] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის N1/3/1312 გადაწყვეტილება (2020) II. პარა. 10
[56] *იქვე*, პარა. 49

კითხვებს აჩენს სხვა გარემოებებიც. კერძოდ, საინტერესოა, რომ მითითებული პირებისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებამდე ცენტრის იურისტებმა წერილობით მიმართეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურსაც, რათა მათ გამოეკვლიათ რამდენად კანონიერად ხორციელდებოდა მითითებული პირების მოსმენა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამონაცვლე დღეს პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურია[57]. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, როგორც იმ პერიოდში ფარული საგამოძიებო მოქმედებების ზედამხვედველობაზე პასუხისმგებელი ორგანო, ვალდებული იყო გამოეკვლია საკითხი. მასალების გავრცელების პერიოდში იმჟამინდელმა სახელმწიფო ინსპექტორმა საჯაროდ განცხადება გაავრცელა და მოუწოდა საგამოძიებო ორგანოებს, ფარული მიყურადების ყველა სავარაუდო შემთხვევის გამოძიებისკენ[58]. მიუხედავად ამისა, როგორც გამოჩნდა, სამწუხაროდ თავად ინსპექტორის სამსახურს არ შეუსწავლია მია ზოიძისა და გიორგი ფანცულაიას მიმართ განხორციელებული მოქმედებების კანონიერება, რადგან ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტების მიერ გაგზავნილ წერილზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მია ზოიძეს აცნობა, რომ არ იკვეთება უკანონოდ განხორციელებული მოქმედებების შესახებ მტკიცებულებები. შესაბამისად, გაურკვეველია, როგორ მიენიჭათ დაზარალებულის სტატუსი იმ პირებს, რომელთა მიმართაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მტკიცებულება ვერ გამოკვეთა. ყოველივე ეს თავის დროზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მხრიდან საკუთარი ვალდებულებების არც ისე ეფექტიანად განხორციელებაზე მიუთითებს, რაც სამწუხაროდ გრძელდება სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამონაცვლის შემთხვევაშიც. კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ანგარიშში ვხვდებით მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობას ფარული საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით[59], თუმცა, ამ ეტაპზე მათი ჩართულობა 2021 წლის 13 სექტემბერს გავრცელებული მასალების ან/და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან დაკავშირებულ ცვლილებების პროცესში არ იკვეთება.

ამასთანავე, საქართველოს პარლამენტსაც აქვს ე.წ. ზედამხედველობის გარკვეული მექანიზმები. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ასეთ კონტროვერსულ საკითხთან მიმართებით, როდესაც მასშტაბური თვალთვალის ფაქტები გავრცელდა, საქართველოს პარლამენტს ზედამხედველობის მექანიზმები არ გამოუყენებია, პარლამენტს, ასევე, არ განუხილავს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესაძლებლობაც[60]. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2021 წლის 13 სექტემბერი ფარული მასალების გავრცელების არც პირველი და არც უკანასკნელი შემთხვევა არ ყოფილა. სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც მიმართა, რათა პირადი ცხოვრებასა და ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით საქართველოს წინააღმდეგ შესული საჩივრები პრიორიტეტულად განიხილოს[61].

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ერთ წელზე მეტია, მიმდინარეობს, უკანონო მოსმენებთან დაკავშირებულ საქმეებზე ხელშესახები გარემოება გამოკვეთილი არ არის. დაზარალებულად

---

[57] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის კვლევა - ლაზარე ჯიბლაძე, *სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ლიკვიდაცია რეორგანიზაციის სახელით - სამართლებრივი შეფასება* (2022)

[58] იხ. რადიო თავისუფლების სტატია - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ფარული მიყურადების შემთხვევების გამოძიებას მოითხოვს (13.09.2021)

[59] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2022 წლის 6 თვის საქმიანობის სტატისტიკა

[60] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2021) გვ.123

[61] იხ. ინტერპრესნიუსის სტატია: ომბუდსმენი - ვთხოვთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, პრიორიტეტულად განიხილოს საქართველოდან გაგზავნილი განაცხადები პირადი ცხოვრების თაობაზე, რომელიც ეხება ფარულ მიყურადებას (20.09.2022)

ცნობასთან დაკავშირებით არ იკვეთება ინდივიდუალური მიდგომები. პროცესებს უფრო მეტად პოლიტიკურს ხდის ის გარემოებებიც, რომ პირთა ჯგუფი ერთობლივად და ავტომატურად ცნეს დაზარალებულად. საქმეს პოლიტიკური ელფერი დაემატა მას, მერეც რაც, ბრალი წარედგინა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილ მოადგილეს, იოსებ გოგაშვილს, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების, სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვების, შენახვის, გავრცელებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა/შენახვის ფაქტზე[62]. მოგვიანებით, სუს-ის უფროსის ყოფილ მოადგილეს ბრალი დაუმძიმდა და მას დამატებით სახელმწიფო საიდუმლოების განზრახ გახმაურებასა და პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფას ედავებიან[63].

მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ფარგლებში აუცილებელია, დადგეს ყველა იმ პირის პასუხისმგებლობა, ვინც დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ, მეორე მხრივ, საკითხავია, მოქმედებდა თუ არა იოსებ გოგაშვილი დამოუკიდებლად, ასევე, როგორ მოახერხა მან მასალის შეგროვება იმ სისტემის გარეშე, რომელსაც იგი წარმოადგენდა. ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ იოსებ გოგაშვილის სასამართლო პროცესი უნდა წარიმართოს ყოველგვარი პოლიტიკური მიკერძოების გარეშე, რათა დაცული იქნეს იოსებ გოგაშვილის სამართლიანი სასამართლოს უფლება. ის ფაქტი კი, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილ მოადგილეს ედავებიან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებას, შენახვას, გავრცელებას და პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფას, ქმნის დაუცველობის მასშტაბურ განცდას, რაც ეროვნული მექანიზმების არაეფექტიანობაზე მიუთითებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრს შეტანილი აქვს საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. საქმე ეხება ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების საკითხის, როდესაც არასრულწლოვანი პირის მიმართ ფარული მოსმენა მოსამართლის განჩინების გარეშე მიმდინარეობდა. საჩივარში ყურადღება გამახვილებულია როგორც დანაშაულის არაეფექტიან გამოძიებასთან დაკავშირებით, ასევე - სახელმწიფო ინსტიტუტების გულგრილ დამოკიდებულებაზე, რამაც საბოლოოდ არასრულწლოვანი პირების მიმართ მძიმე სასჯელის წარდგენას შეუწყო ხელი. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საჩივარი დაარეგისტრირა. მითითებული საქმე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შესვლამდეც ფარული საგამოძიებო მოქმედებები დარღვევებით მიმდინარეობდა, რაც ახალი ცვლილებებით არ გაუმჯობესდება.

7. დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმისგან მომდინარე საფრთხეები ნათელია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით საფრთხეს უქმნის ქვეყანაში ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. ცვლილებები არაპროპორციულად ზღუდავს ადამიანის უფლებებს სხვადასხვა მიმართულებით, რაც ვერ ბალანსდება ქვეყანაში არსებული სხვა სამართლებრივი მექანიზმებით.

[62] საქართველოს პროკურატურის განცხადება - პროკურატურამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილ მოადგილეს იოსებ გოგაშვილს ბრალდება წარუდგინა (17.07.2022)
[63] იხ. ფორმულას სტატია - გოგაშვილს ბრალი დაუმძიმდა (11.10.2022)

იმ ფონზე, როცა საქართველოში რამდენჯერმე გავრცელდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის მასშტაბური ფაქტები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებები კიდევ უფრო მეტად აფართოებს ამგვარი მოქმედებების არეალს, რასაც ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების შემოწმების შესაძლებლობა მინიმუმამდე დაყავს. შესაბამისად, რაკი 2014 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რედაქციის მოქმედების დროსაც მიმდინარეობდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა, 2022 წლის ცვლილებები უკვე უფლებას აძლევს საგამოძიებო ორგანოებს, კანონის ფარგლებში განახორციელონ პირადი ცხოვრების უფლების არამართლზომიერი შეზღუდვა, რაც მათი პასუხისმგებლობის დადგომის შანსებსაც ამცირებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ამგვარი გაფართოება ვერ უზრუნველყოფს საქართველოში კერძო და საჯარო ინტერესების გონივრულ ბალანს, რადგან ჯერჯერობით 2021 წლის საქმეებზეც კი სახელმწიფომ დაცვის ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანობა ვერ დაამტკიცა, რაც ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას.